ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა

(EITI)

ავტორი: თამარ ნადიბაიძე, დავით მაისურაძე

რედაქტორი: ლევან ავალიშვილი

თებერვალი, 2016

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI). შესაბამისად, IDFI არის პასუხისმგებელი კვლევის შინაარსზე.

აკრძალულია კვლევაში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სარჩევი

შეჯამება 2

1. EITI-ს მიმოხილვა 3

2. EITI-ს მისია 4

3. EITI-ს მართვა 5

3.1 EITI-ს დაფინანსება 7

3.2. მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის გლობალური კონფერენცია .. 9

4. EITI პრინციპები 9

5. EITI სტანდარტი 11

6. ბუნებრივი რესურსების მართვის ინსტიტუტი (NRGI) 14

7. EITI-ს განვითარება 17

8. EITI-ს იმპლემენტაციის მოსალოდნელი სარგებელი 19

დასკვნა 21

შეჯამება

კვლევაში განხილულია მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (Extractive Industries Transparency Initiative - EITI), მისი მიზანი და საქართველოში დანერგვის პერსპექტივები. ბუნებრივი რესურსები ქვეყნის დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს, მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა კი, სახელმწიფოებს და სამოქალაქო საზოგადოებას ეხმარება, რომ უფრო ეფექტიანად და საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელდეს რესურსების მართვა. ბუნებრივი რესურსების კეთილგონივრული და წინდახედული გამოყენება შესაძლოა მნიშვნელოვანი მექანიზმი იყოს მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. ბუნებრივი სიმდიდრის არასწორი მენეჯმენტი უარყოფით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, მათ შორის ხელს უწყობს კორუფციის ზრდას და საზოგადოებაში კონფლიქტების გაღვივებას.

EITI-ს საქმიანობის პრინციპი შემდეგია - კომერციული იურიდიული პირები აქვეყნებენ მთავრობისთვის გადარიცხული თანხების შესახებ ფინანსურ მონაცემებს (გადასახადები, წიაღის დამუშავებისთვის ლიცენზიის საფასური, ა.შ.), ხოლო მთავრობა თავის მხრივ იმ მოპოვებითი მრეწველობის კომერციული იურიდიული პირებისგან მიღებულ შემოსავლებს ასაჯაროებს, რომლებიც ქვეყანაში საქმიანობენ. EITI-ს სამდივნო დასახელებული მონაცემების ორივე კატეგორიას ამუშავებს, ერთმანეთს ადარებს და აქვეყნებს EITI-ს წლიურ ანგარიშში. აღნიშნული ანგარიშით მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ხელისუფლების მიერ ქვეყნის ეროვნული რესურსების მართვის შესახებ და ასევე, გაიგონ თუ რა შემოსავალს იღებს სახელმწიფო მოპოვებითი მრეწველობის ინდუსტრიიდან.

1. EITI-ს მიმოხილვა

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (EITI) გლობალური სტანდარტია, რომელსაც მრავალი სახელმწიფო და დაინტერესებული პირი თუ ორგანიზაცია უჭერს მხარს. ინიციატივა მიზნად ისახავს ეროვნული რესურსების ღია და ანგარიშვალდებულ მენეჯმენტს და მთავრობათა და კომერციული იურიდიული პირების მართვის სისტემების ამ კუთხით გაუმჯობესებას. EITI სტანდარტის განმახორციელებელ ქვეყნებში, ინიციატივას მხარს უჭერს უწყებათაშორისი კოალიციები, კომერციული იურიდიული პირები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

წინამდებარე კვლევის მიზანია მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის არსის და დანერგვის დადებითი შედეგების გაცნობა სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. კვლევის ძირითად წყაროდ გამოყენებულია ინიციატივის და მისი პარტნიორი ორგანიზაციების ოფიციალური ინტერნეტ-რესურსები.

მიჩნეულია, რომ ინიციატივას 2002 წელს ჩაეყარა საფუძველი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრ ტონი ბლერს იოჰანესბურგში გამართულ მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე EITI-ს იდეაზე უნდა ესაუბრა, თუმცა პრემიერ მინისტრსა და ზიმბაბვეს პრეზიდენტ - რობერტ მუგაბეს შორის დაძაბული ურთიერთობის გამო, ტონი ბლერმა სიტყვა დაგეგმილის შესაბამისად არ წარმოთქვა. მიუხედავად ამისა, სიტყვის ორიგინალი გამოაქვეყნეს და დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა (DFID) სამოქალაქო საზოგადოების, კომერციული იურიდიული პირებისა და მთავრობების წარმომადგენლების შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მონაწილეები აღნიშნულ სფეროში ანგარიშვალდებულების გაძლიერების აუცილებლობაზე შეთანხმდნენ.

2003 წელს, ლონდონში გამართულ კონფერენციაზე შეკრებილი 140 დელეგატი, რომლებიც 70-მდე მთავრობას, კომერციულ იურიდიულ პირს, ინდუსტრიულ ჯგუფს, ინვესტორს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, შეთანხმდნენ EITI-ს

ძირითად პრინციპებზე და მოპოვებითი მრეწველობის სექტორში[1] გადასახადებისა და შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის გაზრდაზე.

2. EITI-ს მისია

ინიციატივის წევრებს მიაჩნიათ, რომ ქვეყნის მიერ ეროვნული რესურსების განკარგვის ღიაობა უზრუნველყოფს იმას, რომ მთავრობებმა იმოქმედონ ეროვნული განვითარების საკეთილდღეოდ. ბუნებრივი რესურსების კეთილგონივრული და წინდახედული გამოყენება შესაძლოა მნიშვნელოვანი მექანიზმი იყოს მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. თუმცა, ბუნებრივი სიმდიდრის არასწორი მენეჯმენტი ნეგატიურ ეკონომიკურ და სოციალურ გავლენას ახდენს სახელმწიფოზე, მათ შორის ხელს უწყობს კორუფციის ზრდას თუ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონფლიქტების გამოწვევას. მაგალითად, პერუში კონფლიქტების 85% სამთო და ენერგეტიკულ პროექტებს უკავშირდება. 2015 წელს პერუმ ორჯერ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა მოპოვებით მრეწველობასთან დაკავშირებული სამოქალაქო არეულობის გამო. გაზაფხულზე ტია მარიას მაღაროსთან[2] და შემოდგომაზე აპურიმაკში, ლას ბამბას მაღაროსთან პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მომხდარი დაპირისპირების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიღუპა და მრავალი დაშავდა.[3]

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის მისია განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოსთვის. საქართველოში ხშირია სოციალური კონფლიქტები და მოპოვებით მრეწველობასა და ბუნებრივი რესურსების ტრანზიტის საკითხებთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია საზოგადოების და აღნიშნულ სფეროებში დასაქმებული პირების არაინფორმირებულობით. აღნიშნულის მაგალითად გამოდგება,

[1] ძირითადად ნავთობის, გაზის ინდუსტრიასა და სამთო მრეწველობას გულისხმობს, https://eiti.org/glossary#extractive_industries.
[2] Peru declares state of emergency in mining region, http://www.bbc.com/news/world-latin-america-34400831.
[3] Peru anti-mining protest sees deadly clashes, http://www.bbc.com/news/world-latin-america-34389803.

ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში დასაქმებული პირების გაფიცვები, საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს საბადოსთან დაკავშირებით დაწყებული დაპირისპირება, რუსეთიდან შესაძლო დამატებითი გაზმომარაგება, კომპანია ფრონტერას მიერ საქართველოს გაზის რესურსებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება.

EITI ხაზს უსვამს მოპოვებითი მრეწველობის ინდუსტრიაში მთავრობებისა და კომერციული იურიდიული პირების გამჭვირვალობის მნიშვნელობას, რათა გაიზარდოს ანგარიშვალდებულება, ისევე როგორც ფინანსების საჯარო მართვა.

3. EITI-ს მართვა

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის მმართველ ორგანოს გამგეობა და სამდივნო წარმოადგენს. გამგეობა, რომელიც მთავრობების, კომერციული იურიდიული პირებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შედგება, ირჩევა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ EITI-ს კონფერენციაზე. მოქმედი გამგეობა 20 წევრისგან შედგება და მას ბრიტანელი პოლიტიკოსი და ყოფილი პარლამენტარი ქლეარ შორთი ხელმძღვანელობს. EITI-ს შემდეგ კონფერენციაზე, რომელიც 2016 წლის 23 თებერვალს პერუს დედაქალაქ ლიმაში გაიმართება, გამგეობის თავმჯდომარედ ფრედრიკ რაინფელდტს (შვედეთის პრემიერ-მინისტრი 2006-2014) აირჩევენ, რადგან სწორედ მისი კანდიდატურა წარადგინეს 2015 წლის 7-10 დეკემბერს უკრაინის დედაქალაქ კიევში გამართულ EITI-ს კვირეულზე.

EITI დაინტერესებულ მხარეთა კოალიციას წარმოადგენს და მთავრობებს, კომერციულ იურიდიულ პირებს, ინვესტორებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს აერთიანებს. დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი (MSG - Multi-Stakeholder Group) EITI-ს გამგეობის მეშვეობით მეთვალყურეობს ინიციატივის დანერგვის პროცესს, როგორც მონაწილე ქვეყნებში, ასევე საერთაშორისო დონეზე. გამგეობის ფუნქციონირებას ხელს უწყობენ EITI-ს გამგეობის კომიტეტები, რომელთა მოვალეობას წარმოადგენს სხვადასხვა საკითხებზე რეკომენდაციების გაწევა გამგეობისთვის.

EITI-ს საერთაშორისო სამდივნო, რომელსაც ჯონას მობერგი ხელმძღვანელობს და ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოშია განთავსებული. სამდივნო დამოუკიდებელი და გამგეობის

მიმართ ანგარიშვალდებული ორგანოა. სამდივნო გამგეობის გადაწყვეტილებებს ახორციელებს და ასევე მართავს EITI-ს ასოციაციას. სამდივნოს წევრობა შეუძლია EITI-ს ყველა განმახორციელებელ და მხარდამჭერ ქვეყანას.

სამდივნოს ძირითადი უფლება-მოვალეობებია: საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინიციატივის ადვოკატირება, მიღებული ცოდნის დაინტერესებულ მხარეთათვის გაზიარება, კონფერენციების ორგანიზება და ინიციატივის განხორციელების პროცესის ხელშეწყობა.

EITI-ს განმახორციელებელი ქვეყნების ტექნიკურ მხარდაჭერას ძირითადად მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს (World Bank EITI Multi-Donor Trust Fund (MDTF)). MDTF-ის (მსოფლიო ბანკის მრავალ-დონორიანი ნდობის ფონდი) დონორები არიან: ავსტრალია, ბელგია, კანადა, დანია, ევროკავშირი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ნიდერლანდების სამეფო, ნორვეგია, ესპანეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი და აშშ.

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივას პოლიტიკურ, ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას უწევენ შემდეგი სახელმწიფოები: ავსტრალია, ბელგია, კანადა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, ნორვეგია, ყატარი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, ნიდერლანდების სამეფო და გაერთიანებული სამეფო.

EITI-ს მხარდაჭერას უცხადებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ადვოკატირებით, ტრენინგებით და მონიტორინგით, მათ შორის: საერთაშორისო გამჭვირვალობა, კოალიცია „გამოაქვეყნე რას იხდი“ (Publish What You Pay Coalition), ბუნებრივი რესურსების მართვის ინსტიტუტი, ღია საზოგადოების ინსტიტუტი, ოქსფამი და სხვა.

ინიციატივის პარტნიორი ორგანიზაციებია: აფრიკის განვითარების ბანკი (AfDB), აფრიკის გაერთიანება, ამერიკის ნავთობის ინსტიტუტი (API), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ავსტრალია-აფრიკის სამთო ინდუსტრიის ჯგუფი (AAMIG), EBRD, ევროკომისია, G7, G20, ევროპული ინვესტირების ბანკი (EIB), IMF, ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP), ნავთობისა და გაზის მწარმოებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია, OECD, მსოფლიო ბანკის ჯგუფი და სხვა.

90-ზე მეტი გლობალური საინვესტიციო ინსტიტუტი (მაგ: კანადის მუშათა კონგრესი, აბერდიენის აქტივების მენეჯერთა საზოგადოება, Banco Fonder, ა.შ.), რომლებიც განკარგავენ 19 ტრილიონ აშშ დოლარის აქტივების, წარმოადგენენ ინიციატივის მთავარ საყრდენს.

ასევე, ინიციატივას საჯაროდ უჭერენ მხარს მსოფლიოს 90-ზე მეტი გაზის, ნავთობისა და სამთო ინდუსტრიების წარმომადგენელი მსხვილი კომერციული იურიდიული პირები. ისინი ეხმარებიან EITI-ს სტანდარტების პოპულარიზაციაში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამასთანავე, მხარდამჭერი კომერციული იურიდიული პირები ხელს უწყობენ დაინტერესებულ ჯგუფებსა და ადგილობრივ თემებს შორის კომუნიკაციას.

3.1 EITI-ს დაფინანსება

სამდივნოს აფინანსებენ მხარდამჭერი მთავრობები და კომერციული იურიდიული პირები, განმახორციელებელი ქვეყნები კი, თავად იხდიან ინიციატივის განხორციელების პროცესისთვის საჭირო თანხებს. სახელმწიფოების მიერ EITI-ს ინიციატივის განხორციელების პროცესის ვალიდურობას[4] EITI-ს საერთაშორისო მენეჯმენტი აფინანსებს.

ინიციატივა, ასევე, მნიშვნელოვან დაფინანსებას იღებს მონაწილე ქვეყნებიდან. მიღებული დაფინანსება მეტწილად ტრენინგ-სემინარებისთვის და გლობალური კონფერენციისთვის გამოიყენება.

ინიციატივის ბიუჯეტში, მხარდამჭერი მთავრობებისა და განვითარების სააგენტოებისგან მიღებული, დაფინანსება 62%-ს აღწევს.

[4] ვალიდურობა არის გარე, დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოს მიერ ინიციატივის განხორციელების პროცესს აფასებს, ავტ.

(Extractive Industries Transparency Initiative, 2016)





3.2. მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის გლობალური კონფერენცია

EITI-ს გლობალური კონფერენცია ყოველ ორ-სამ წელიწადში ინიციატივის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში იმართება. შემდეგი კონფერენცია, როგორც ზემოთ არის აღნიშნული 24-25 თებერვალს გაიმართება პერუს დედაქალაქ ლიმაში. კონფერენციაზე ძირითადი ყურადღება ინიციატივის განხორციელების შედეგებსა და კომერციული იურიდიული პირებისა და მთავრობების საქმიანობაში EITI-ს პრინციპების ინტეგრირებას დაეთმობა. კონფერენციას დაესწრებიან მაღალი რანგის სტუმრები მთავრობებიდან, მოპოვებითი მრეწველობის კომპანიებიდან, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

4. EITI პრინციპები

2003 წელს დიდი ბრიტანეთში გამართულ პირველ კონფერენციაზე, ინიციატივის მხარდაჭერის დადგენილებას 40-ზე მეტმა ინვესტორმა მოაწერა ხელი. ხელმოწერილ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ინფორმაციის გასაჯაროება გააუმჯობესებდა კორპორატიულ მმართველობას და შეამცირებდა კორუფციულ რისკებს. კონფერენციის მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს EITI-ის 12 პრინციპი. აღნიშნული პრინციპები, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული, ხაზს უსვამს ბუნებრივი რესურსების გამჭვირვალე მართვის საჭიროებას.

EITI პრინციპები:

1. ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება უნდა იყოს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა,

რესურსების არასწორმა გამოყენებამ კი, შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

2. სწორი მენეჯმენტის მეშვეობით, სახელმწიფოებს უკეთ შეუძლიათ გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები ეროვნული ინტერესებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის.
3. ბუნებრივი რესურსების მოპოვების უპირატესობა გამოიხატება შემოსავლების მდგრადობაზე.
4. მოქალაქეების წვდომა სახელმწიფოს შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხელს უწყობს სახალხო განხილვებს და შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს სწორი არჩევანი მდგრადი განვითარებისათვის.
5. აუცილებელია მთავრობებისა და მომპოვებელ ინდუსტრიებში მოღვაწე კომერციული იურიდიული პირების მუშაობის პროცესის გამჭვირვალობა, ფინანსების საჯარო მართვა და ანგარიშვალდებულების ზრდა.
6. გამჭვირვალობის ზრდის შემთხვევაში, შენარჩუნებულ უნდა იქნას ხელშეკრულებებისა და კანონების პატივისცემა.
7. გათვითცნობიერებული უნდა იყოს ფინანსური გამჭვირვალობის შიდა და უცხოურ ბაზარზე ინვესტიციების გაზრდაზე შესაძლო გავლენა.
8. მთავრობის ანგარიშვალდებულება ყველა მოქალაქის მიმართ, დაეხმარება მოქალაქეებს საჯარო დანახარჯების ზედამხედველობის პროცესის განხორციელებაში.
9. მნიშვნელოვანია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პროცესის უზრუნველყოფა და მაღალი სტანდარტების დანერგვა სამოქალაქო საზოგადოებაში, სამთავრობო ოპერაციებსა და ბიზნესის სექტორში.
10. მნიშვნელოვანია თანმიმდევრული და ადეკვატური მიდგომა გადასახადებისა და შემოსავლების გამჭვირვალობის მიმართ.
11. მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი ყველა კომპანიის მიერ შემოსავლების გამჭვირვალობის ვალდებულება.
12. საზოგადოების თითქმის ყველა სეგმენტის წარმომადგენლებმა - მთავრობებმა და სააგენტოებმა, მომპოვებელმა ინდუსტრიულმა კომპანიებმა, მომსახურების კომპანიებმა, მრავალპროფილიანმა ორგანიზაციებმა, ფინანსურმა ორგანიზაციებმა,

ინვესტორებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა - უნდა შეიტანონ მნიშვნელოვანი და რელევანტური წვლილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

5. EITI სტანდარტი

EITI-ს სტანდარტი ინიციატივის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილის წარმოადგენს და იგი ზემოთ ნახსენებ 12 პრინციპს მოიცავს. სტანდარტი EITI-ს დანერგვას და გლობალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების მართვას. EITI-ს სტანდარტი 2013 წელს სიდნეიში გამართულ გლობალურ კონფერენციაზე დამტკიცდა ორ-წლიანი კონსულტაციების შედეგად და იგი ორი ნაწილისგან შედგება: *EITI სტანდარტის დანერგვა და მართვა.*

1. EITI-ს სტანდარტის დანერგვა მოიცავს: EITI-ს პრინციპებს, მოთხოვნებს, ვალიდურობის გზამკვლევს და ,,სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის" პროტოკოლს.

2. მართვა მოიცავს EITI-ს ორგანიზების მიმოხილვას, ასევე, დადგენილებას თუ როგორ იმართება EITI, EITI-ს ღიაობის პოლიტიკას, ეთიკის კოდექსს და EITI-ს შემადგენელი ერთეულების გზამკვლევს.

განმახორციელებელმა ქვეყნებმა უნდა დააკმაყოფილონ EITI-ს მოთხოვნები. მოთხოვნების განმახორციელებელი კი, ორი ტიპის ქვეყნები არიან: EITI კანდიდატები და EITI შემსრულებელი ქვეყნები. სანამ სახელმწიფო განაცხადს გააკეთებს EITI-ს კანდიდატობაზე,[5] აუცილებელია მან განახორციელოს გარკვეული ცვლილებები. კანდიდატობა დროებითი მდგომარეობაა და მან სტანდარტის დაკმაყოფილება უნდა უზრუნველყოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დააკმაყოფილებს პირველ მოთხოვნას (EITI-ს სტანდარტის დანერგვა) ის შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც კანდიდატი. ხოლო იმისათვის, რომ მან შემსრულებელი ქვეყნის სტატუსი მიიღოს, მის მიერ განხორციელებული მოქმედებების

[5] The EITI Standard, https://eiti.org/files/English_EITI_STANDARD.pdf გვ. 11.

შემოწმების (ვალიდურობის პროცესის) შედეგად უნდა დამტკიცდეს, რომ ქვეყანა ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.[6]

ვალიდაცია სტანდარტის მოთხოვნაა, რომელიც ქვეყნის მიერ ინიციატივის განხორციელების პროცესს ამოწმებს. იგი გარე, შემმოწმებლის მიერ შესრულებული დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმია. ვალიდურობის პროცესს საერთაშორისო სამდივნო უზრუნველყოფს. ვალიდაცია ხელს უწყობს დიალოგსა და ცოდნის გაღრმავებას სახელმწიფოს დონეზე და იგი EITI-ს განმახორციელებელ ქვეყნებს საერთო სტანდარტს უწესებს.

,,სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის" პროტოკოლი ფუნდამენტურ როლს ასრულებს ინიციატივის მიზნების მიღწევაში. სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობა ინიციატივის განხორციელების პროცესში უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას.

რაც შეეხება მეორე ნაწილს - მართვას, აღსანიშნავია, რომ EITI არაკომერციული წევრთა ასოციაციით იმართება. ასოციაციის დებულებები ინიციატივის მართვის ჩარჩოს აწესებს. მართვის ნაწილი ღიაობის პოლიტიკაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის თანახმად EITI-ს ყველა დოკუმენტი საჯაროა, გარდა კონკრეტული შემთხვევებისა, რაც სტანდარტში არის განსაზღვრული.

სტანდარტი განმახორციელებელი ქვეყნების მიერ გადასახადების გადახდასთან, ლიცენზიებთან, კონტრაქტებთან, წარმოებასა და სხვა მნიშვნელოვან დეტალებთან დაკავშირებით ინფორმაციის გასაჯაროებას უზრუნველყოფს. კომერციული იურიდიული პირები აქვეყნებენ მონაცემებს თუ რამდენს უხდიან მთავრობას (გადასახადები, საზღაური წიაღის დამუშავებისთვის, ა.შ.), ხოლო მთავრობა თავის მხრივ ასაჯაროებს მონაცემებს თუ რამდენს იღებს იგი იმ მოპოვებითი მრეწველობის კომპანიებიდან, რომლებიც ქვეყანაში საქმიანობენ. შემდეგ აღნიშნული მონაცემების ორ კატეგორიას ერთმანეთს ადარებს დამოუკიდებელი ექსპერტი და წლიურ EITI-ს ანგარიშში აქვეყნებს. შესაბამისად, ანგარიში საშუალებას აძლევს მოქალაქეებს გაიგოს ინფორმაცია, თუ როგორ მართავს მისი ქვეყანა ეროვნულ რესურსს და რამდენ შემოსავალს იღებს მოპოვებითი მრეწველობის ინდუსტრიიდან.

[6] იქვე, გვ. 10.

2014 წელს 4 განმახორციელებელი სახელმწიფო იყო და ეს რიცხვი 2015 წელს 49-მდე გაიზარდა.

29 შემსრულებელი სახელმწიფო შემდეგია: კამერუნი, ჩადი, კოტ-დ'ივუარი, გვატემალა, ერაყი, ყირგიზეთი, მავრიტანია, მოზამბიკი, ნიგერი, ნიგერია, ნორვეგია, პერუ, კონგოს რესპუბლიკა, სიერა ლეონე, აღმოსავლეთ ტიმორი, ტრინიდადი და ტობაგო, ბურკინა ფასო, ალბანეთი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, განა, გვინეა, ყაზახეთი, ლიბერია, მალი, მონღოლეთი, ტოგო, ზამბია, ინდონეზია და ტანზანია.

EITI-ში არის 18 კანდიდატი სახელმწიფო: ავღანეთი, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, ეთიოპია, ჰონდურასი, მადაგასკარი, მალავი, სენეგალი, კოლუმბია, მიანმარი, პაპუა ახალი გვინეა, ფილიპინები, სან-ტომე და პრინსიპი, სეიშელის კუნძულები, სოლომონის კუნძულები, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი და აშშ.

გამგეობამ სტატუსი შეუჩერა ქვეყნებს, სადაც ინიციატივის განხორციელების პროცესი შეფერხებით მიმდინარეობდა ან შეწყდა პოლიტიკური არასტაბილურობის გამო. იემენს და ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკას შეჩერებული სტატუსი აქვთ, ხოლო გაბონმა და ეკვატორულმა გვინეამ განმახორციელებელი ქვეყნის სტატუსი დაკარგეს, რამდენადაც EITI-ს წესებს არ ემორჩილებოდნენ.

მეორეს მხრივ, ავსტრალიის, საფრანგეთის, გერმანიისა და გაიანას მთავრობებმა სტანდარტის განხორციელების სურვილი გამოთქვეს.

(Extractive Industries Transparency Initiative, 2016)



6. ბუნებრივი რესურსების მართვის ინსტიტუტი (NRGI)

EITI-ს ანგარიშები გამოყენებულია ბუნებრივი რესურსების მართვის ინსტიტუტის (NRGI) მიერ, რომელიც ყველა მონაცემს აერთიანებს ღია ფორმატის, ინტერაქტიული ვიზუალიზაციის მქონე ცალკეულ დოკუმენტში. NRGI არის დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულ სუბიექტებს სტრატეგიების ანალიზს, სტრატეგიულ რჩევებს, ადვოკატირებას, ქმედითუნარიანობის გაზრდას და შრომატევად კვლევაზე დაყრდნობილ ტექნიკურ მხარდაჭერას სთავაზობს. ორგანიზაცია მუშაობს პირებთან, რომლებიც ხელისუფლებაში ინოვაციური ცვლილებებს ახორციელებენ, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასთან, საკანონმდებლო ორგანოსთან, კერძო სექტორთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან, რათა წაახალისოს ანგარიშვალდებული და ეფექტური მართვის სტილი მოპოვებით ინდუსტრიებში. ეროვნულ დონეზე ისინი უზრუნველყოფენ ტრენინგებს, ტექნიკურ მხარდაჭერას, დახმარებას გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდაში, ფისკალური სისტემების გაძლიერებაში, სახელმწიფოს

მფლობელობაში არსებული საწარმოების რეფორმირებაში, ბუნებრივი რესურსების გამოყენებით მიღებული შემოსავლების მენეჯმენტის გაუმჯობესებაში და სხვა.

NRGI-ს ძირითადი კომპეტენციაა ბუნებრივი რესურსების მართვის აღწერა და შეფასება (ნავთობის, ბუნებრივი გაზის, სასარგებლო წიაღისეულის) ისეთი მექანიზმების საშუალებით, როგორიც არის რესურსების მართვის ინდექსი და ბუნებრივი რესურსების ქარტია. რესურსების მართვის ინდექსი (RGI) იყენებს ოთხ კომპონენტს 58 ქვეყნის გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების დონეების გამოსათვლელად ნავთობის, გაზისა და სამთო წიაღისეულის სექტორებში.

RGI-ის ოთხი კომპონენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

The Four Components of the Resource Governance Index



ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო: 10 ინდიკატორი[7] განსაზღვრავს თუ რამდენად აკმაყოფილებს კანონი, რეგულაციები და ინსტიტუციური პრაქტიკა ღია და სამართლიანი კონკურენციის და ანგარიშვალდებულების მოთხოვნებს.

ანგარიშგების პრაქტიკა: 20 ინდიკატორი[8] აფასებს სახელისუფლებო უწყებების პრაქტიკას ანგარიშებისა და ინფორმაციის გამოქვეყნების კუთხით.

უსაფრთხოების და ხარისხის კონტროლი: 15 ინდიკატორი[9] აფასებს ზედამხედველობის და გადამოწმების მექანიზმებს, რომელთა მიზანია ინტერესთა კონფლიქტების და შეუსაბამო ქმედებების თავიდან არიდება.

[7] Freedom of Information law, Comprehensive sector legislation, EITI participation, Independent licensing process, Environmental and social impacts assessments required, Clarity in revenue collection, etc.
[8] Environment and Social impact assessments, Exploration of data, Production volumes, Production value, Licensing process, etc.

გარემოს ხელშეწყობა: გარემოს მართვის 5 ინდიკატორი,[10] რომელიც 30-ზე მეტ კრიტერიუმს იყენებს, არის ანგარიშვალდებულება, ხელისუფლების ეფექტურობა, კანონის უზენაესობა, კორუფცია და დემოკრატია. ეს მონაცემები ასახავს გარემოზე ზეგავლენის მოცულობას, რომელიც ხელს უწყობს ან უშლის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდას მოპოვებით სექტორში.

რესურსების მართვის ინდექსზე დაყრდნობით, NRGI და შემოსავლების მეთვალყურეობის ინსტიტუტი (Revenue Watch Institute) ქვეყნების რეიტინგებსა და ქულებს აქვეყნებენ NRGI-ს კრიტერიუმების გლობალური შესრულების მიხედვით. რეიტინგი ყოვლისმომცველ ინფორმაციას იძლევა, თუ როგორ მუშაობს ხელისუფლება მოპოვებით ინდუსტრიებთან, როგორც ლოკალურ, ისე, გლობალურ დონეზე. მაგალითად, 2013 წლის RGI-ს ანგარიშის მიხედვით, 58 ქვეყნის ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის რეიტინგში ნორვეგია ლიდერობს, ხოლო ბოლო ორ ადგილს თურქმენეთი და მიანმარი იკავებენ.

[9] Checks on licensing process, Checks on budgetary process, Quality of government reports, Government disclosure of conflicts of interest, etc.
[10] Accountability and democracy, Open budget, Government effectiveness, Rule of law, Corruption.

(The 2013 Resource Governance Index, 2013, p. 4)



7. EITI-ს განვითარება

2015 წლის აპრილს, გამგეობის რიგით 29-ე შეხვედრაზე კონგოს რესპუბლიკის დედაქალაქ ბრაზავილში, სამდივნომ წარმოადგინა რამდენიმე სადისკუსიო მიმართულება და ხედვა ინიციატივის განსავითარებლად. სამდივნომ გამოთქვა მოსაზრება, რომ გაზარდოს ინიციატივის გავლენა მსოფლიოს მასშტაბით და სამთავრობო და კორპორატიულ ანგარიშებში დაინერგოს EITI-ს პრინციპები. მათ, ასევე, სურვილი აქვთ ხელი შეუწყონ საჯარო დისკუსიებს და დიალოგს სტრატეგიული განხილვების წახალისებისა და EITI-ს სტანდარტის განმარტების თაობაზე.

გამგეობას სჯერა, რომ EITI-ს ძირითად მიმართულებად გახდომა არა მხოლოდ ინდუსტრიულ გამჭირვალობას უზრუნველყოფს, არამედ სამთავრობო სექტორის მიერ ბუნებრივი რესურსების მართვის მახასიათებლად ჩამოყალიბდება. მთავრობებმა უნდა მოიფიქრონ, როგორ შეამცირონ EITI-ს ანგარიშების მექანიზმებზე დამოკიდებულება[11] და წარმოადგინონ ინფორმაცია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად მონაცემთა ბაზებში, ვებ-გვერდებზე, პორტალებზე, ანგარიშებში და ა.შ. ამ შემთხვევაში, EITI-ს ანგარიშები დაინტერესებული პირები მოახდენდნენ საჯარო ინფორმაციის ანალიზს და არა მონაცემების მოძიებასა და შეკრებას.

მიუხედავად იმისა, რომ წევრი სახელმწიფოების 250 ფისკალური წელიწადი და 1.7 ტრილიონი აშშ დოლარის შემოსავალი აისახა EITI-ს ანგარიშებში, აღნიშნულ მონაცემებს არ გამოუწვევია გარკვეულ ქვეყნებში მასობრივი საჯარო განხილვები და ანგარიშებში ასახულმა მონაცემებმა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გამოიწვია სექტორის რეფორმა. ამიტომ საბჭო მიიჩნევს, რომ EITI-ს მონაცემები დროულად და მარტივად უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რათა წაახალისოს საჯარო დისკუსიები, სტრატეგიული განხილვები და უზრუნველყოს რეფორმების წახალისება ინიციატივის განმახორციელებელ ქვეყნებში.

ვალიდაცია (სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება) კიდევ ერთი პრობლემური საკითხია, რომელიც დაინტერესებულმა მხარეებმა გამოკვეთეს. მხარეები ფიქრობენ, რომ ვალიდაცია ვერ უზრუნველყოფს ადეკვატურ შეფასებას, რადგან შემფასებლები საკმარის დროს არ უთმობენ ყველა გარემოების გათვალისწინებას და სრულყოფილად ვერ განსაზღვრავენ

[11] მნიშვნელოვანია, მთავრობებმა შიდა ანგარიშგების მექანიზმი შეიმუშაონ და არ იყვნენ EITI-ზე დამოკიდებული.

განმახორციელებელი ქვეყნების განსხვავებულ მახასიათებლებს და დროის გათვალისწინებით მათ მიერ მიღწეულ პროგრესს.

8. EITI-ს იმპლემენტაციის მოსალოდნელი სარგებელი

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის იმპლემენტაციას, რამდენიმე უპირატესობა აქვს, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ისე ინვესტორებისთვის, კომერციული იურიდიული პირებისა და ზოგადად, ქვეყნებისთვის.

ინიციატივის იმპლემენტაციას და EITI-ს ანგარიშების გამოქვეყნებას პოზიტიური გავლენა აქვს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე, რადგან EITI-ს წევრობა მკაფიო გზავნილია ინვესტორებისა და საერთაშორისო ინსტიტუტებისათვის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება იღებს გამჭვირვალობის გაზრდის ვალდებულებას.

სამოქალაქო საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა გამართოს დისკუსიები ხელისუფლების მიერ შემოსავლების მართვის შესახებ, რაც ხელს უწყობს მოქალაქეების მიმართ ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდას. სწორედ ამიტომ არის სასარგებლო გამჭვირვალობის წახალისება მოპოვებითი მრეწველობის ინდუსტრიების მქონე ქვეყნებში, რადგან ეს შეამცირებს ნეგატიურ ეკონომიკურ და სოციალურ გავლენას.

ფისკალური გაუმჭვირვალობა მოპოვებითი მრეწველობის სექტორში უდავოდ საფრთხის შემცველია, რისკები კი მრავალია, მათ შორის: კორუფცია, არასწორი მართვა, უსარგებლო ხარჯები ან კონფლიქტის წარმოშობა, როგორც ზემოთ არის აღნიშნული (იხ. თავი 2. EITI-ს მისია). იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა მოპოვებითი მრეწველობის ინდუსტრიების გამჭვირვალედ მართვა, მაშინ არსებობს საფრთხე იმისა, რომ შემოსავლები გამოყენებულ იქნეს არამიზნობრივად და მოხდეს მოსახლეობის ინტერესების და პრიორიტეტების უგულვებელყოფა. კომპანიებმა, ასევე, შესაძლოა თავი აარიდონ გადასახადების გადახდას. ბუნებრივი რესურსების გამჭვირვალედ მართვა კი, ნათლად გვიჩვენებს მოაქვს თუ არა სარგებელი საზოგადოებისთვის თუ ქვეყნისთვის მოპოვებითი მრეწველობის ინდუსტრიებს.

რესურსების მოპოვება ზემოქმედებს გარემოზე, ამიტომ აუცილებელია საჯაროდ იქნეს აღიარებული ამგვარი გავლენა და საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია ასეთი ზემოქმედების შესახებ. გარემოსდაცვითი ინფორმაცია შეიცავს მრავალ კომპონენტს: მაღაროების მიერ წყლის ოდენობის მოხმარება, მოუწევს თუ არა მოსახლეობას წყლის მოსაპოვებლად უფრო ხანგრძლივი მგზავრობა, ბიო-მრავალფეროვნების დაკარგვა, მიწის გაუვარგისება მიწათმოქმედებისთვის, კლიმატური ცვლილება, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოწვევები, მოპოვებითი მრეწველობის ინდუსტრიების გარემოსდაცვითი ჯარიმები და სხვა.

მაგალითად, ყირგიზეთში მოქალაქეები, რომლებიც ,,ტალასის" მაღაროს მახლობლად ცხოვრობდნენ, არ იყვნენ ინფორმირებულები თუ რა გარემო და სოციალური ეფექტების გამოწვევა შეეძლო მაღაროს. ამის გამო, მოსახლეობა ყველა ნეგატიურ მოვლენას მაღაროს უკავშირებდა - პირველ რიგში ჩვილი ბავშვებისა და ცხოველების მუტაციებს - სანამ ,,Publish What You Pay"-ს წარმომადგენლებმა არ გააცნეს საზოგადოებას ის რეალური პრობლემები, რომელიც მაღაროს შეეძლო გამოეწვია. ასევე, როდესაც კოლუმბიაში საზოგადოებასთან კონსულტაციებს მართავდა არასამთავრობო ორგანიზაცია კოლუმბიის ნაციონალური ფორუმი (Foro Nacional por Colombia), აღმოჩნდა, რომ კოლუმბიაში მაღაროსთან მახლობლად მცხოვრები მოსახლეობები ძირითადად სოციალურ და გარემოსთან დაკავშირებული საკითხებით ინტერესდებოდნენ.

ამრიგად, როგორც ზემოთა არის ასახული, ინფორმაციის დამალვა მხოლოდ და მხოლოდ ეჭვებს წარმოშობს სამოქალაქო საზოგადოებაში და კომერციული იურიდიული პირებისა და მთავრობების სანდოობას აზარალებს. სწორედ ამიტომ, მათ ინტერესშია რესურსების მოპოვებით აქტივობებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა. ბუნებრივი რესურსების მართვის გამჭვირვალობა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, ინვესტორებს, კომერციული იურიდიული პირებს და მთავრობებს დაადგინონ კონკრეტული პროექტების რეალური ხარჯი და სარგებელი. ასევე, მათ შეეძლებათ მიიღონ უკეთესი გადაწყვეტილებები გარემოსა და სოციალურ ყოფაზე მოპოვებითი სამუშაოების გავლენის გათვალისწინებით. ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლიანი მართვა მხოლოდ მაშინ იქნება გარანტირებული, როდესაც მასთან დაკავშირებული შესაძლო გამოწვევები, თუ რა სარგებელს მოუტანს საზოგადოებას და მთლიანად ქვეყენას არის თავიდანვე ნათლად

გათვალისწინებული, გასაჯაროებული და შესაბამისად, არ იწვევს ეჭვს, უნდობლობასა და კონფლიქტს.

დასკვნა

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივასთან მიერთების სურვილი საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2005 წელს გამოთქვა საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის გაგზავნილ მემორანდუმში[12] (Memorandum of Economic and Financial Policies - MEFP).

მემორანდუმი კორუფციის შემცირების ერთ-ერთ საშუალებად მეტ გამჭვირვალობას ასახელებდა, შესაბამისად, მთავრობა მიზნად ისახავდა ისეთ საერთაშორისო ინიციატივებთან მიერთებას, რომლებიც ხელს შეუწყობდა მრეწველობითი სექტორის ღიაობასა და გამჭირვალობას და ქვეყანაში გაუმჯობესებდა ბიზნეს გარემოს.

მთავრობის პროგნოზით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენების გახსნის შემდეგ, ნავთობისა და გაზის ტრანზაქციით მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, რაც საქართველოსთვის EITI-ს კიდევ უფრო რელევანტურს ხდიდა და მთავრობა მზაობას გამოთქვამდა 2004 წლიდან დაეწყო გაზისა და ნავთობის ტრანზაქციით მიღებული შემოსავლის გამოქვეყნება. მიუხედავად დოკუმენტში გაცხადებული პოლიტიკური ნებისა, საქართველო მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივას არ მიერთებია.

ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership) ფარგლებში მთავრობის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს EITI-ში გაწევრიანებას. პირველად, 2012 წელს მომზადებულ რეკომენდაციებში იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინიციატივა - „მოპოვებითი და ტრანზიტის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) დანერგვა და განხორციელება

[12] Letter of Intent, Memorandum of Economic and Financial Policies, and Technical Memorandum of Understanding, July 2, 2005, International Monetary Fund, https://www.imf.org/external/np/loi/2005/geo/070205.pdf

საქართველოში", ისევე როგორც, 2013 წელს ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმისთვის შემუშავებულ რეკომენდაციებში - „მოპოვებითი და ტრანზიტის გამჭვირვალობის ინიციატივის საქართველოში განხორციელება (EITI)." ინიციატივებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ვალდებულება უნდა აეღო ყოველწლიურად (წელიწადში ერთხელ) გამოექვეყნებინა საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტად გატარებული ნავთობისა და გაზის მოცულობების და სატრანზიტო და სხვა გადასახადების სახით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების შესახებ; რის შედეგადაც, გაუმჯობესდებოდა საინვესტიციო გარემო.

აღნიშნული საკითხის რელევანტურობა განსაკუთრებით გამოიკვეთა ბოლო პერიოდში, როდესაც აშკარა გახდა საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა თუ ტრანზიტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რამაც გამოიწვია დაპირისპირება და კონფლიქტები სოციალურ ნიადაგზე. მაგალითად, ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში დასაქმებული პირების გაფიცვები, საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს საბადოსთან დაკავშირებით დაწყებული დაპირისპირება, რუსეთიდან შესაძლო დამატებითი გაზმომარაგების საკითხი, კომპანია ფრონტერას მიერ საქართველოს გაზის რესურსებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება. EITI ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ზრდას და მხარეთა შორის (კომერციული იურიდიული პირი და დასაქმებულები) დავის გადაწყვეტას. მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა არის საზოგადოების ინფორმირებულობის მნიშვნელოვანი გარანტი და დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის სოციალური დიალოგის წარმართვის საფუძველი.

საქართველოში მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის პრინციპებისა და პრაქტიკის დანერგვა - ნავთობისა და გაზის ოპერაციებიდან, ისევე როგორც, წიაღით სარგებლობასთან დაუკავშირებელი ნავთობისა და გაზის ოპერაციებიდან[13] მიღებული შემოსავლის და სხვა გადასახადების, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება - მნიშვნელოვნად შეცვლის ბიზნეს გარემოს. მოქალაქეებს შეეძლებათ ყოველწლიურად ნახონ მონაცემები, სადაც ასახული იქნება სხვადასხვა კომერციული

[13] ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებასთან და მოპოვებასთან, ნავთობისა და გაზის იმპორტი, ტრანზიტი, მაგისტრალური მილსადენითა და მობილური საშუალებებით ტრანს პორ ტირება, გადამუშავება, ნავთობპროდუქტების მიწოდება და ექსპორტ-იმპორტი; საქართველოს კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ, თავი I, მუხლი 1, გ.

იურიდიული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გაზისა და ნავთობსადენების, ასევე წიაღისეული სარგებლობის შედეგად საქართველოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლები. პროექტში ჩართული უნდა იყოს როგორც საქართველოს ენერგეტიკისა, და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ისე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სს ,,საქართველოს რკინიგზა," ისევე როგორც, ინდუსტრიაში ჩართული ნებისმიერი კომერციული იურიდიული პირი.

როგორც კვლევაშია აღნიშნული (იხ. თავი 5. EITI სტანდარტი), კომერციული იურიდიული პირები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ თავის მხრივ აქვეყნებენ ინფორმაციას თუ რამდენს უხდიან მთავრობას სხვადასხვა გადასახადების სახით. მონაცემების ორ კატეგორიას (მთავრობის მიერ და კომპანიების მიერ გამოქვეყნებული) დამოუკიდებელი ექსპერტი ადარებს ერთმანეთს და წლიურ EITI-ს ანგარიშში აქვეყნებს.

სახელმწიფოს მიერ ლიცენზიების, ნებართვების გაცემის გზით კონკრეტული კომერციული იურიდიული პირისგან მიღებულ სარგებელზე ინფორმაცია შესაძლებელია განეკუთვნებოდეს კომერციულ საიდუმლოებას.[14] აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება უნდა მოხდეს კონკრეტული კომერციული იურიდიული პირის თანხმობით ან კომერციული იურიდიული პირის მიერ.

IDFI კვლავ მხარს უჭერს საქართველოს მიერთებას მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივაზე. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა გააუმჯობესებს საინვესტიციო და ზოგადად, ბიზნეს გარემოს, კორპორატიულ მმართველობას, სახელმწიფო პოლიტიკის ღიაობას, აამაღლებს სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობას და კონტროლს ტრანზიტსა წიაღისეულის მოპოვებაზე, რის შედეგადაც გაუმჯობესდება მთავრობისადმი მოქალაქეების ნდობა და შემცირდება კორუფციის რისკები.

---

[14] ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27[3], პუნქტი 1.